

მოგესალმებით,

ეროვნული ბანკი ყოველკვარტლურად აქვეყნებს მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს, სადაც დეტალურადაა გაწერილი ინფლაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნება, რაც აუცილებელია მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და რაშიც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების სტაბილური დონე იგულისხმება.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი გადაწყვეტილებას ინფლაციის პროგნოზის მიხედვით იღებს. ეროვნული ბანკის ძირითადი ინსტრუმენტი არის რეფინანსირების განაკვეთი. მაგალითისთვის, თუ ჩვენი პროგნოზით მომავალში ინფლაცია 3%-ზე მაღალი იქნება, ვზრდით რეფინანსირების განაკვეთს, რომ გარკვეული დროის შემდეგ ინფლაცია 3%-ს მივუახლოვოთ.

2017 წლის მეოთხე კვარტალში საგრძნობლად გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, ანუ ლარის საშუალო შეწონილი კურსი ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში, რამაც ინფლაციაზე ზეწოლა გაზარდა. ამის საპასუხოდ, კომიტეტმა დეკემბრის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა. ბოლო პერიოდში ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსს გამყარების ტენდენცია აქვს. ამასთან, ერთობლივი მოთხოვნა კვლავ პოტენციურ დონეზე ქვემოთ ნარჩუნდება, რაც ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს. შესაბამისად, კომიტეტმა იანვრის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის დამატებითი გამკაცრება საჭიროდ აღარ მიიჩნია. როგორც მოსალოდნელი იყო, წლიური ინფლაციის მაჩვენებელი იანვარში შემცირდა და 4.3% შეადგინა. არსებული პროგნოზით, ინფლაცია 2018 წლის განმავლობაში საშუალოდ მიზნობრივ დონესთან ახლოს იქნება.

მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების დროს დროდადრო ისმის კითხვა, ხომ არ აზარალებს ეს იმ მსესხებლებს, ვისაც სესხის პროცენტი რეფინანსირების განაკვეთზე აქვს მიბმული. აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ როდესაც ეროვნული ბანკი დროულად ამკაცრებს ან არბილებს მონეტარულ პოლიტიკას, მაშინ გრძელვადიან პერიოდში საპროცენტო განაკვეთები ყველაზე დაბალია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის გაზრდის დაგვიანება გამოიწვევს ინფლაციური პროცესების განვითარებას და, შედეგად, საპროცენტო განაკვეთები უფრო მეტად გაიზრდება, მათ შორის ლარის ცვლადგანაკვეთიან სესხებზეც. ამდენად, ეროვნული ბანკის დროული რეაგირების პირობებში, გრძელვადიანად სესხების მომსახურების ტვირთი ყველაზე დაბალია.

2017 წელს ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე უფრო მაღალი აღმოჩნდა და 4.8% შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2018 წელს 4.5%-ის ფარგლებში იქნება. მიუხედავად ამისა, ერთობლივი მოთხოვნა ჯერ კიდევ ჩამორჩება მთლიანი შიდა პროდუქტის პოტენციურ დონეს. პროგნოზის მიხედვით, აღნიშნული ჩამორჩენა 2018 და 2019 წლებში ეტაპობრივად აღმოიფხვრება.

ინფლაციაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად ნეიტრალურ დონემდე შემცირდება. მინდა დავამატო, რომ პოლიტიკის განაკვეთის აღწერილი პროგნოზი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის დანაპირებს მონეტარული პოლიტიკის შემდგომ გადაწყვეტილებებზე, არამედ ის ასახავს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საორიენტაციო ტრაექტორიას, რომელიც დღეისათვის ხელმისაწვდომ ინფორმაციასა და პროგნოზებს ეფუძნება.

ასევე მინდა განვმარტო, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი საშუალოვადიან პერიოდში 2018 წლიდან. საშუალოვადიან პერიოდზე ყურადღების გამახვილებას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან შოკები მუდმივად ხდება, ინფლაცია მეტწილად განსხვავებული იქნება მიზნობრივი დონისგან, ზოგჯერ იქნება მიზნობრივზე უფრო მაღალი და ზოგჯერ მიზნობრივზე უფრო დაბალი. თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ის ყოველთვის იმოდრავებს სამიზნე მაჩვენებელისაკენ. ამ მიდგომით, რასაც ინფლაციის თარგეთირება ეწოდება, ფასების სტაბილურობა ყველაზე დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯებით მიიღწევა, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე მაღალი და სტაბილურია.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ როდესაც ვამბობთ ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი არის 3 პროცენტი, ჩვენ არ ვგულისხმობთ ინფლაციას ნულიდან სამ პროცენტამდე, არამედ ვგულისხმობთ ინფლაციას 3 პროცენტთან ახლოს საშუალოვადიან პერიოდში.